ოქმი:**ო31.31203021**
თარიღი:**28/10/2020**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N15

ქ. ლანჩხუთი 27. 10. 2020 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ხათუნა ვადაჭკორია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ია მოაქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მოვალეობის შემსრულებელი რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ბიძინა იმნაიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომის დაწყებამდე დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა განაცხადა, რომ 26 ოქტომბერს, საჯარო მოხელემ ნინო მშვიდობაძემ სამუშაო საათებში, სიძულვილის ენით და პასკვილით „facebook“ გვერდზე განათავსა პოსტი. მან პარლამენტის წევრობის კანდიდატის, ირაკლი მარშანიშვილის მიმართ განახორციელა საჯარო დისკრედიტაცია და დაარღვია ეთიკის ნორმები. კერძოდ დაარღვია 45-ე პუნქტის მეოთხე ნაწილი და 48-ე პუნქტის მეორე ნაწილი, გამოიყენა საჯარო რესურსი და პიროვნებას, საკრებულოს წევრს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

მან თხოვნით მიმართა, რომ ორი დღის ვადაში, აღნიშნული საკითხი შეისწავლოს შესაბამისმა კომისიამ და მოახდინოს რეაგირება. წინააღმდეგ შემთხვევაში ორი საჩივრით მიმართავს სასამართლოს - საჯარო მოხელის, ნინო მშვიდობაძის და მერიის წინააღმდეგ.
საკრებულოს ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია“-ს თავმჯდომარემ ლელა ჩახვაძემ განაცხადა, რომ მერიის პრესსამსახურის თანამშრომელი, ნინო მშვიდობაძე, რომელიც ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან და პატიოსანი გადამხდელებიდან იღებს, შეურაცხმყოფელ

შეფასებებს არ უნდა აკეთებდეს. ის თვლის რომ შეუსაბამო იყო შაქარაშვილისა და ბაჩალიაშვილის მკვლელობებზე დაწერილი პასუხები. მოითხოვა, რომ აუცილებლად რეაგირება გააკეთონ დეპუტატობის კანდიდატის, ირაკლი მარშანიშვილის მიმართ დაწერილ კომენტარზე. ასევე, მან ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს ბაჩუკი ტუღუშს მოუწოდა, რომ თავისუფალი არჩევანის საშუალება მისცეს მოსახლეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავს სხვა ზომებს.
საკრებულოს დეპუტატებმა ამირან გიგინეიშვილმა, ლელა ჩახვაძემ და ირაკლი მარშანიშვილმა დატოვეს სხდომა.
საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მაგული კუნჭულია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

4. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.

მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიმდინარე წლის 7 სექტემბრის წერილში დასმული საკითხის განხილვის შედეგად მიზანშეწონილია კულტურის ღონისძიებების პროგარმის (ორგ.კოდი 05 02 02) 3060 ლარის და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 05 03)2405 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს განათლების ხელშეწყობის პროგრამა (ორგ.კოდი 04 03) 5465 ლარით.

ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო საამღზრდელო ცენტრის წინადადების განხილვის საფუძველზე (სამზარეულოში ბუნებრივი აირის მოხმარების აკრძალვის გამო) სამზარეულოში (ქვიანი, ჩოლობარგი, შუხუთი, ქალაქი, მაჩხვარეთი, ლესა და წყალწმინდა) ელექტროქურების დამონტაჟების მიზნით გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში საქონელი და მომსახურების მუხლის 35 000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 35 000 ლარით.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახლგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** განაცხადა, რომ „ახალგაზრდობის მხარდაჭერის“ პროგრამიდან საჭიროა დამატებით 2 500 ლარის გადმოტანა „განათლების“ პროგრამაში.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N 18 (27.10.2020)

საკრებულოს სხდომას შემოემატა ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე **გოგი მორჩილაძე,**

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსმა მაგული კუნჭულიამ. მან აღნიშნა, რომ MSDA–(Municipal Servise Development Agency) მიერ მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პროექტის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია ჩართულია დოკუმენტბრუნვის ახალი პროგრამის დანერგვის პროექტში, რომელიც მნიშვნელოვანია განხორციელებული პროექტის და მერიის სრულფასოვანი მუშაობისა და ფუნქციონირებისთვის. პროგრამის მეშვეობით მერია უფლებამოსილია ერთიანი საქმისწარმოების პროგრამაში სწორი და უტყუარი მონაცემების აღრიცხვის და თავისი ფუნქციების შესრულების, მათ შორის: სოციალური დახმარების, ჯანმრთელობის დაცვის, სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის, სატრანსპორტო პოლიტიკის განხორციელების, ადამიანური რესურსების მართვის და სხვა მიზნით. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიიღოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემები. შესაბამისად მერიის დებულებაში უნდა აისახოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რეგულაცია.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 21 საკრებულოს წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N 19 (27.10.2020)

საკრებულოს სხდომას შემოემატა ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე **კარლო კვიტაიშვილი.**

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში შესატანია რამდენიმე ცვლილება. კერძოდ, ნუსხასა და გეგმაში შესატანია შემდეგი ობიექტები:

1) ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ.N76-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება (ს/ კ 27.06.52.630);

2) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27.15.52.559).

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინაღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 54 (27.10.2020)

4. სხვადასხვა საკითხები

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ მადლობა გადაუხადა მერიას, საკრებულოს აპარატს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირებისთვის.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი